საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030146050816318

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/25277 **02 / მაისი / 2018 წ.**

ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისის
მეკავშირე ოფიცერს კარლჰაინც გორტანოს

ბატონო გორტანო,

თქვენი 2018 წლის 24 აპრილის N18MA102-GE-04 წერილის პასუხად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ "C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ჩატარებული აქვთ კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით და მიღებული აქვთ დადებითი პასუხი, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე უტარდებათ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო გამოკვლევები. ,,C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში, პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს, გარდა ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 1-ის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის ,,ა.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 30%-ს. ამასთან, მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულებისა.

ამასთან, 2017 წლის 1 დეკემბრიდან, მკურნალობაში ჩართვის მიზნით გათვალისწინებული დიაგნოსტიკური კვლევა - C ჰეპატიტის დადგენა HCV რნმ (რაოდენობრივი, თვისობრივი Genexpert) C ჰეპატიტის დადგენა HCV რნმ (Core Antigen) მეთოდით, სრულად ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან. ასევე, სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით, რომელიც ტარდება მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად, მკურნალობის დასრულებიდან მე-12 ან 24-ე კვირაზე და ამავე ვადაზე განსაზღვრული ექიმთან ვიზიტი, სრულად ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან.

C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო-ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფა ხორციელდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე).

ამასთან, ქვეყანაში მოქმედებს "ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის" სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სტაციონარულ დეტოქსიკაციას და პირველად რეაბილიტაციას ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს, ასევე, ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელებას და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, ონკოლოგიურ პაციენტთათვის (მათ შორის, ლიმფომის დიაგნოზის მქონე) უზრუნველყოფილია ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – წლიური ლიმიტით 12 000-15 000 ლარის ფარგლებში, "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების მიხედვით და ითვალისწინებს 80-90-100%-ით თანაგადახდას სახელმწიფოს მხრიდან.

ასევე, ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია გეგმური ქირურგიული ოპერაციები და მასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები – წლიური ლიმიტით 15 000 ლარი და გულისხმობს ასანაზღაურებელი თანხის 70-100%-ით თანაგადახდას სახელმწიფოს მხრიდან.

დამატებით გაცნობებთ, იმ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია განხილული იქნას ,,რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ. აღნიშნულ კომისიაზე

განსახილველად განცხადებას თან უნდა ახლდეს: სამედიცინო დაწესებულების მიერ მიმდინარე წელს გაცემული ცნობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV-100/ა), ასევე, მიმდინარე წელს გაცემული ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია (დედანი), ან მედიკამენტების მოთხოვნის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების (აფთიაქის) მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა (დედანი) საჭირო მედიკამენტების თაობაზე, მაძიებლის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სოციალური კატეგორიის (სოციალურად დაუცველი, დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, პენსიონერი და სხვ) დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რაც შეეხება წერილში ჩამოთვლილი მედიკამენტების საქართველოში ხელმისაწვდომობის საკითხს, გაცნობებთ, რომ:

- ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით Mabthera (აქტიური სუბსტანცია: Rituximab) რეგისტრირებულია საქართველოში (იხ. დანართი № 1), თუმცა არა 375მგ-იანი დოზით. NaCl 0.9% 1000ml რეგისტრირებულია საქართველოში. (იხ. დანართი №2).
- 1A Dibondrin (აქტიური სუბსტაქნცია: Diphenhydramin), დღეის მდგომარეობით, არ არის რეგისტრირებული, ხოლო მისი აქტიური სუბსტანციის შემცველი სხვა სავაჭრო დასახელების მქონე პრეპარატების ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი №3-ის სახით.
- Mexalen (აქტიური სუბსტანცია: paracetamol), დღეის მდგომარეობით, არ არის რეგისტრირებული, ხოლო მისი აქტიური სუბსტანციის შემცველი სხვა სავაჭრო დასახელების მქონე პრეპარატების ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი №4-ის სახით.
- Navoban (აქტიური სუბსტანცია: Tropisetron), დღეის მდგომარეობით, არ არის რეგისტრირებული და არც მისი აქტიური სუბსტანციის შემცველი სხვა სავაჭრო დასახელების მქონე პრეპარატია დაშვებული ბაზარზე. გენერიული დასახელებით Cyclophosphamide და 750mg დოზით არ არის რეგისტრირებული არც ერთი ფარმაცევტული პროდუქტი, ხოლო სხვა დოზით და იგივე გენერიული დასახელებით რეგისტრირებული პრეპარატების ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი №5-ის სახით.
- აქტიური სუბსტანციის Doxorubicin შემცველი ფარმაცევტული პროდუქტების (მათ შორის 50mg-იანი დოზით) ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი №6-ის სახით.
- გენერიული დასახელებით Vincristine რეგისტირებული ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი № 7-ის სახით. ამასთან 1,4მგ-იანი დოზით არ არის რეგისტრირებული არც-ერთი მათგანი.
- ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით Aprednisolon 100mg (აქტიური სუბსტანცია: Prednisolone), დღეის მდგომარეობით, არ არის რეგისტრირებული საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, ხოლო მისი აქტიური სუბსტანცის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალი გეგზავნებათ დანართი №8-ის სახით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 100mg დოზით არ არის რეგისტრირებული არც-ერთი მათგანი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოში რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://pharmacy.moh.gov.ge.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — სოფიკო ბელქანია